www.hcoj.gov.ge

- საერთო სასამართლოები
- სასამართლო რეფორმა
- მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი
- სადისციპლინო სტატისტიკა
- საკვალიფიკაციო გამოცდები
- პრეს რელიზი

თქვენი/ელ ფოსტა

რეგისტრაცია

გამოიწერეთ ბიულეტენი

- ჩვენს შესახებ
- სტრუქტურა
- ვაკანსიები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე, რომლის მისამართია www.hcoj.gov.ge.

დაინტერესებულ პირს შეუძლია ელექტრონულ რეჟიმში დაუკავშირდეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მიმართოს მას შეკითხვით ან გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები საფოსტო მისამართზე council@hcoj.gov.ge.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

www.hcoj.gov.ge

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ)

Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

GTZ-Office Tbilisi 41,Shartava Str.
0146, Tbilisi Georgia

Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (**GTZ**) ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2008©

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები
დისციპლინური სამართალწარმოება იუსტიციის უმაღლესი საბჭოში
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდი

www.hcoj.gov.ge

0144, თბილისი, საქართველო
ბოჭორმის ქ, №12

E-mail: council@hcoj.gov.ge

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი და შემადგენლობა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (2004 წლამდე საქართველოს იუსტიციის საბჭო) 1997 წელს შეიქმნა როგორც საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომლის ძირითად ამოცანად სასამართლო რეფორმის წარმატებით ჩატარება განისაზღვრა.

არსებობის მანძილზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რამოდენიმეჯერ განიცადა ტრანსფორმაცია, რამაც ეტაპობრივად გამოიწვია მისი სრულყოფა და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობა. დღეისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი და დაკომპლექტების პრინციპი სრულად შეესაბამება მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიის მოთხოვნებს და მისი საქმიანობა მიმართულია სასამართლო სისტემის უკეთ ფუნქციონირებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისაკენ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსისა და მისი ფუნქციური მოვალეობების თვალსაზრისით გარდამტეხი გახლდათ 2006 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რამაც შექმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მეტი გარანტიები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო გარდაიქმნა დამოუკიდებელ ორგანოდ და მას საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ამასთან, საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეები.

საბჭო შედგება 15 წევრისაგან. საქართველოს პარლამენტის კვოტა განსაზღვრულია 4 წევრით, რომელთაგან პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის საბჭოს შემადგენლობაში. საქართველოს პრეზიდენტს საბჭოში წარმოადგენს მის მიერ დანიშნული 2 წევრი, ხოლო საქართველოს საერთო სასამართლოებს საბჭოში წარმოადგენენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 წევრი, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

- სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავება
- სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა
- მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება
- მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება
- საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება
- საერთო სასამართლოების საბიუჯეტო, მატერიალურ-ტექნიკური და სასამართლო ადმინისტრირების საკითხთა კოორდინირება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურა და ფუნქციები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საბჭოს აპარატი, რომლის მუშაობასაც ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატში შექმნილია 3 დეპარტამენტი:

- სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის
- სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების
- საკადრო საკითხთა და საქმისწარმოების

სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ფუნქციაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა; წინადადებების მომზადება სასამართლო ადმინისტრირების საკითხებზე; სასამართლო რეფორმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულება; საბჭოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვა.

სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის ფუნქციაა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება; დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკის მომზადება და დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის განზოგადება.

საკადრო საკითხთა და საქმისწარმოების დეპარტამენტის ფუნქციაა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და საბჭოს აპარატის მოხელეთა საკადრო აღრიცხვა; საბჭოს აპარატში ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსების ჩატარება და მოხელეთა ტესტაციის ორგანიზება; მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებასთან და მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საქმიანობა.